

**„სადაც ოდესღაც ტროა იყო“
(ოვიდიუსი. „ჰეროიდები“. 1.1.53)**

**“WHERE TROY ONCE WAS”
(OVID. “HEROIDS”. 1.1.53)**

ნინო ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ვახტანგ ენდელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nino Chikhladze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Vakhtang Endeladze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ძველად არავინ დავობდა იმის შესახებ, რომ ჰომეროსი თავის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“ მხოლოდ გამოგონილ ამბებს ჰყვებოდა, მაგრამ XIX საუკუნეში, 1873 წლის 5 აგვისტოს, გერმანელმა მოყვარულმა არქეოლოგმა, ჰაინრიხ შლიმანმა, განცხადება გააკეთა თურქეთის ტერიტორიაზე ტროას აღმოჩენის შესახებ და ჰომეროლოგიაში ბევრი საკითხი თავდაყირა დადგა. გაჩნდა იმის ალბათობა, რომ თუ არსებობდა ტროა, არ იყო გამორიცხული, ჰომეროსის ეპოსში, გარკვეულწილად, რეალური ამბები ყოფილიყო მოთხრობილი. თითქმის 40 წლის წინ ეს მოსაზრება გაამყარა ინგლისელი ტიმ სევერინის ექსპედიციამ, რომელმაც განვლო ის მარშრუტი, რომელიც, ჰომეროსის მიხედვით, ტროადან წამოსულმა ოდისევსმა გაიარა მშობლიურ კუნძულ ითაკამდე და გზადაგზა ბევრი საინტერესო თანხედრობა იპოვა ჰომეროსის პოემებთან. წარმოიქმნა მთელი მიმდინარეობაც კი – ჰომეროსის არქეოლოგია.

სტატიაში შევეცდებით ვისაუბროთ, როგორ იქცა ჰომეროსი და ტროა, ძველი ბერძნული ცივილიზაციის პირველი ლიტერატურული ძეგლი და ევროპული ერების კოლექტიური იდენტობის ფუნდამენტური ელემენტი, თურქული კულტურული მეხსიერების ნაწილად; შესაბამისად, თურქეთში სახელმწიფოცა და ხალხიც როგორ თვლის მოვალეობად მასზე ზრუნვას და არ არის გასაკვირი, რომ იქ უფრო მეტი თურქი ხვდება ხოლმე ვიზიტორებს, ვიდრე ტურისტები; როგორ შთააგონებს ევროპული კულტურის ისტორია – ჰომეროსის მემკვიდრეობა, თურქულ კულტურულ ტრადიციებს; როგორია ჰომეროსის ეპიკური პოეზიის ფუნქცია ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებით და ტროას არქეოლოგიური კვლევების და კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივები თურქეთში; როგორ დადგინდა რეგულაციები ტროას შემდგომი შესწავლის მიზნით გასული საუკუნის დასაწყისში. შევხებით „ილიადას“ თურქულენოვან თარგმანებს და სხვა.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ ჰომეროსი „ილიადაში“, ტროას ომში, ტროელთა მოკავშირეებს შორის, მოიხსენიებს ჰალიძონებს ალიბეს ქვეყნიდან, რომელთაც უკვე ძველები ერთ-ერთ ქართველურ ტომთან, ხალიბებთან აიგივებდნენ. ასევე, პრიამოსი, ელენესთან დიალოგში, ახსენებს კოლხ მებრძოლ ასულებს, ამადონებს, რომელთა მოკავშირეობითაც წარსულში ბევრი ომი მოუგია. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჰომეროსის თვალსაწიერში, გარკვეულწილად, მოექცა ქართველური სამყაროც. შესაბამისად, ჰომეროსი პირველი ევროპელი მწერალია, რომელიც უძველესი კოლხეთის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას დიადი მიკენური წარსულის და ტროას ომის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ჰომეროსი, შლიმანი, ტროა, კულტურული იდენტობა, აია-კოლხეთი

ABSTRACT

In ancient times, no one argued that in the Iliad and the Odyssey Homer recounted nothing more than invented stories. Yet in the nineteenth century, on 5 August 1873, the German amateur archaeologist Heinrich Schliemann announced the discovery of Troy on the territory of modern-day Turkey, an event that overturned many long-held views in Homeric scholarship. The possibility emerged that, if Troy had indeed existed, Homer's epic poetry might, at least in part, preserve memories of real events. This idea gained further support nearly forty years ago with the expedition led by the English researcher Tim Severin, who retraced the route that Odysseus is said, in Homer's account, to have followed from Troy to his native Ithaca. Severin's findings revealed numerous striking correspondences with the Homeric poems, thereby contributing to the emergence of an entire subfield now known as Homeric archaeology.

This article explores how Homer and Troy—long regarded as the first literary monument of ancient Greek civilization and a key component of Europe's collective identity—became part of Turkey's cultural memory. It also considers how, consequently, both the Turkish government and the public view the preservation of this heritage as a shared responsibility, making it unsurprising that the site often hosts more local visitors than foreign tourists. The study also explores the ways in which the history of European culture, embodied in Homer's legacy, informs and inspires Turkish cultural traditions; the function of Homeric epic in relation to the Ottoman Empire; the prospects for archaeological research and the preservation of Troy's cultural heritage in Turkey; and the regulatory framework established in the early twentieth century to facilitate continued research at the site. Consideration will also be given to Turkish translations of the Iliad, among other issues.

It is especially noteworthy that in the Iliad, Homer names the Halizones from the land of Alybe among the allies of Troy—peoples whom ancient authors already associated with one of the Kartvelian tribes—the Chalybes. Priam, in his conversation with Helen, likewise recalls the Colchian warrior women, the Amazons, whose support had earned him many victories in the past. From these references we may assert with confidence that the Kartvelian world, to some extent, entered Homer's conceptual horizon. In this sense, Homer stands as the earliest European author to provide information about ancient Colchis within the wider context of the Mycenaean age and the Trojan War.

Keywords: Homer, Schliemann, Troy, cultural identity, Aia-Colchis

შესავალი

ძველად არავინ დავობდა იმის შესახებ, რომ ჰომეროსი თავის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“ მხოლოდ გამოგონილ ამბებს ჰყვებოდა, მაგრამ XIX საუკუნეში, 1873 წლის 5 აგვისტოს, გერმანელმა მოყვარულმა არქეოლოგმა, ჰაინრიხ შლიმანმა, განცხადება გააკეთა თურქეთის ტერიტორიაზე ტროას აღმოჩენის შესახებ და ჰომეროლოგიაში ბევრი საკითხი თავდაყირა დადგა. გაჩნდა იმის ალბათობა, რომ თუ არსებობდა ტროა, არ იყო გამორიცხული, ჰომეროსის ეპოსში, გარკვეულწილად, რეალური ამბები ყოფილიყო მოთხრობილი.

თითქმის 40 წლის წინ ეს მოსაზრება გაამყარა ინგლისელი ტიმ სევერინის ექსპედიციამ, რომელმაც განვლო ის მარშრუტი, რომელიც, ჰომეროსის მიხედვით, ტროადან წამოსულმა ოდისევსმა გაიარა მშობლიურ კუნძულ ითაკამდე და გზადაგზა ბევრი საინტერესო თანხვდომა იპოვა ჰომეროსის პოემებთან. წარმოიქმნა მთელი მიმდინარეობაც კი – ჰომეროსის არქეოლოგია (Latacz 2016: 13).

როცა არ უნდა ჩახვიდეთ თურქეთში, იქ, სადაც ცნობილი ტროას ადგილია, დაგხვდებათ ბევრი ტურისტი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი – ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ბევრს მოყვებიან იმაზე, რომ მათი წინაპრები ტროელები იყვნენ და რომ მათ კიდევ ერთი „ტროას ომი“ (გალიპოლის ბრძოლა) 1915 წელს მოიგეს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ჰომეროსი და ტროა, ძველი ბერძნული ცივილიზაციის პირველი მნიშვნელოვანი მონაპოვარი და ევროპული ერების კოლექტიური იდენტობის ფუნდამენტური ელემენტი, ასევე არის თურქული კულტურული მეხსიერების ნაწილი. როგორ ჩანს, ჰომეროსის ეპოსი, გარკვეულწილად, ევროპასთან ერთად, შთააგონებს თურქულ კულტურულ ტრადიციებსაც.

ცნობილი ფაქტია, რომ ჰომეროსის ქალაქობას, რამდენიმე სხვა ქალაქთან ერთად, იჩემებს თურქეთის მესამე ქალაქი, იზმირი (სმირნა), კულტურის კარიბჭე, როგორც მას ეძახიან. აქ არის ჰომეროსის ბევრი ძეგლი, რომელთა შორის, განსაკუთრებით საინტერესოა ჰომეროსის ძეგლი იეშილდერის დელტაზე, წარწერით, რომელიც, ზოგიერთი გადმოცემით, ჰომეროსს მიეწერება: „დავიბადე იზმირის კალთაში, სადაც მამეები უერთდებიან ზღვას“ (Graziosi 2005: 24-26).

კვლევის მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია ინტერდისციპლინარული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ისტორიულ, არქეოლოგიურ, ლიტერატურულ და კულტუროლოგიურ კვლევებს. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს ერთდროულად შევისწავლოთ ჰომეროსის ეპოსები, ტროას აღმოჩენა და მათი გავლენა თურქულ კულტურულ იდენტობაზე სიღრმისეულად.

მსჯელობა

ჰომეროსის როლი იზმირის ტურისტულ მარკეტინგში დიდია. ტურისტებისთვის განკუთვნილ ბროშურებზე ხაზგასმით არის მინიშნებული – იზმირი, ჰომეროსის მშობლიური ქალაქი. იზმირის რეგიონის ოფიციალური ტურისტული ვებ-გვერდები ხაზს უსვამს ჰომეროსის სმირნულ და ტროას ანატოლიურ წარმომავლობას. ქალაქის მთავარ მოედანს ჰომეროსის სახელი ჰქვია. ქალაქი მასპინძლობს ჰომეროსის

ყოველწლიურ ფესტივალს, რომელზეც გამორჩეულ თურქ პოეტებს ანიჭებენ ჰომეროსის სახელობის პრიზებს და სურთ ააგონ ჰომეროსის დიდი ძეგლი პაგოსის მთაზე (კადიფეკალე), რომელიც გადაჰყურებს იზმირის ყურეს.

კიდევ უფრო მეტად ამბიციურია ჩანაქკალე, სადაც ტროა არის ნაპოვნი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ტროას ფესტივალი უკვე ათწლეულია ბევრ ადამიანს იზიდავს. ცნობილია ჰომეროსის პოემების კითხვის ტრადიცია და პოეზიის დღეები. ტროას ცხენი გვხვდება სხვადასხვა დიზაინითა და ფორმით, პლაკატებით დაწყებული, ხის ფიგურებით დამთავრებული მთელს ჩანაქკალეს პროვინციაში, რომლის ჩრდილო-დასავლეთით არის ტროადა, ქალაქი დარდანელი, რომელსაც ჰომეროსის გმირებმა მითიური დიდებულება შესძინეს.

ამ ყველაფერს ასრულებს ტროასთან ახლოს დიდი არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც განთავსებულია ტროაში ნაპოვნი ნივთების ნაწილი, არტეფაქტები, რომლებიც გადაურჩა ლეგალურად თუ არალეგალურად ქვეყნიდან გატანას. აქ ტროას „ძველი საუკუნეების სტამბოლს“ ემახიან და უკან ითხოვენ ტროაში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იმ ნივთებს, რომლებიც, მოსახლეობისა და მთავრობის აზრით, მათ ეკუთვნით. ისინი თვლიან, რომ არტეფაქტებს, ისევე, როგორც ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, აქვთ სული, თან ატარებენ ისტორიულ მოგონებებს და როცა მათ სამშობლოში დაბრუნებენ, ქვეყნებში ბუნების ბალანსი აღდგება (Hunter 2018: 4-7).

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ მოთხოვნის საფუძველზე, ტროაში ნაპოვნი 24 ოქროს სამკაული, რომლებიც დაცული იყო ამერიკის პენის მუზეუმში, პენსილვანიის არქეოლოგიის უნივერსიტეტსა და ანთროპოლოგიის მუზეუმში, ცოტა ხნის წინ თურქეთს გადასცეს და გამოფენილია ტროას მუზეუმში.

ანტიკურობის შემდეგ ცდილობდნენ, ჰომეროსის გმირების ხელახლა გაცოცხლებას. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი ჰომეროსის გმირებთან გაიგივდა და ტროას ეწვია; იმპერატორ ავგუსტუსის დროს რომის დაარსება დაკავშირებული იყო ტროას განადგურებასთან; ვერგილიუსმა პოემაში „ენეიდა“ განადიდა ტროა; შუა საუკუნეებში ტროელებს კაცობრიობის ისტორიაში „ყველაზე დიად დამარცხებულებს“ უწოდებდნენ...

მკვლევართა აზრით, ჰომეროსის ეპოსმა დიდად განაპირობა თურქების იდენტობა. ამ თვალსაზრისით, ჰომეროსის მემკვიდრეობის (პოემები, ტროა, არტეფაქტები), გამოყენება, როგორც საშუალების, რომლითაც იდენტურობის განსაზღვრა ხდება, სრულ შესაბამისობაშია თურქეთის ისტორიასთან.

მანამდე კი იყო შლიმანის აღმოჩენები, ხოლო შლიმანამდე – ტროას პოვნის რამდენიმე უშედეგო მცდელობა. ჟან ბატისტ ლა შევალიე (1752-1836), ოგიუსტ კონტი (1752-1817), შოზეულ გუფიე (1752-1817) და სხვები ამაოდ ცდილობდნენ, სამყაროსთვის დაემტკიცებინათ, რომ ოქრომრავალი ტროა მდებარეობდა სოფელ პინარბაშის მახლობლად, კასტამონუს პროვინციაში, Ballı Dağ-ში (თაფლიანი მთა).

1864 წელს ავსტრიელმა იოჰანეს გეორგ ფონ ჰანმა, რამდენიმე მეცნიერთან ერთად, ჩათვალი, რომ ჰისარლიკში (ციხეების ადგილი) უნდა

ყოფილიყო ჰომეროსის ტროა. შოტლანდიელმა ფრენკ კალველმაც (1828-1908) ჰისარლიკის იდეას დაუჭირა მხარი. იყო კიდევ რამდენიმე მცდელობა, მაგრამ არ იყო საკმარი არგუმენტები საზოგადოების დასარწმუნებლად.

1868 წელს, აგვისტოში, ჰაინრიხ შლიმანი პირველად ეწვია ტროადას. ბიზნესში წარმატებული, მდიდარი შლიმანი, როგორც ჩანს, ინტელექტუალის და მეცნიერის წოდებისკენ მიისწრაფვოდა და ამისთვის შესანიშნავი საშუალება იყო გადაეწყვიტა – ubi Troya fuit. მანამდე იყო დიდი მზადების პერიოდი, სადაც ბევრი სადავო დეტალია, მაგრამ მისივე დღიურებსა და შლიმანის ბიოგრაფ დევიდ ა. თრეილის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შლიმანმა შეისწავლა ბევრი (37) ენა, მათ შორის, ძველი ბერძნული; იმოგზაურა ტუნისში, ეგვიპტეში, იტალიაში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ჩინეთში, იაპონიაში, ამერიკაში, კუბასა და მექსიკაში; შეიძინა უზარმარი გამოცდილება; ისწავლა ფილოლოგია, ფილოსოფია, არქეოლოგია; ათენში ჩაატარა ექსპერიმენტული გათხრები; სკურპულოზურად დაამუშავა ჰომეროსის „ილიადა“; ვაჭრობით დააგროვა დიდძალი ქონება და ასე, ცოდნით, გამოცდილებით, ქონებით და უდიდესი სურვილით და რწმენით – ჰომეროსი რეალურ ამბებს ჰყვებოდა, – შეიარაღებულმა, პირველი გათხრები ჩაატარა Ballı Dağ-Pınarbaşı-ში, თუმცა, მალევე მიხვდა, რომ იქ ჰომეროსის ტროას ტყუილად ეძებდა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ფრენკ კალვერტთან შეხვედრა და ჰისარლიკში მის მიერ გათხრების შედეგად აღმოჩენილი სიძველეების გაცნობა. თავის მხრივ, კალვერტმა სოლიდარობა გამოუცხადა დიდი მაგნატის ენთუზიაზმს, მიაწოდა შლიმანს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, ჰისარლიკის ტოპოგრაფია, რამდენიმე პრაქტიკული რჩევაც მისცა და, რაც მთავარია, როგორც დარდანელის გავლენიანი მკვიდრი, შლიმანს დაეხმარა, თანხმობა მიეღო მიწის მესაკუთრეებისგან, გათხრების წარმოების შესახებ, თუმცა 1870 წლის 9-19 აპრილს შლიმანმა ჩაატარა გათხრები ჰისარლიკის მაღლობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ყოველგვარი ნებართვის და თანხმობის გარეშე.

როგორც შლიმანი ხსნის, მან წინასწარ იცოდა, რომ ჰისარლიკის მაღლობის მთლიანად გათხრაზე მიწის რამდენიმე მესაკუთრის წინააღმდეგობა იქნებოდა. მას სურდა, შეესყიდა მთლიანი ტერიტორია გათხრების საწარმოებლად, ნებისმიერ ფასად, მაგრამ ამ მემამულეთა მხრიდან გადააწყდა დიდ წინააღმდეგობას და ტროაში ვეღარ შეძლო გათხრების გაგრძელება. მთავრობაც ძალიან გააღიზიანა შლიმანის უნებართვო გათხრებმა.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ იზრდებოდა ოსმალეთის ინტერესი სიძველეებისადმი. სწორად წარმოებულმა საგანმანათლებლო მოძრაობამ შექმნა ინტელექტუალთა ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, საჯარო მოხელეებით დაკომპლექტდა. მათ ჰქონდათ ევროპული კულტურისა და ლიტერატურის, განსაკუთრებით, ბერძნულ-რომაული კულტურის, ლიტერატურის და არტეფაქტების მიმართ დიდი დაინტერესება.

მიუხედავად ამისა, 1970 წელს შლიმანი აცხადებს, რომ საფვეტ ფაშამ არაფერი იცოდა ჰომეროსის და ტროას შესახებ. ახსნის შემდეგ, შლიმანმა საფვეტ ფაშა დაიყოლია, ეწარმოებინა გათხრები, ერთი პირობით, რომ რასაც

იპოვიდა, ექნებოდა სამეცნიერო, ან ფასეული ღირებულება, ყველაფერი მისთვის უნდა გადაეცა. შლიმანმა ღიად გამოხატა გაბრაზება, მაგრამ მალევე ინანა, ბოდიში მოიხადა, ოღონდ მიეცათ ჰისარლიკში გათხრების განახლების უფლება.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ საფვეტ ფაშა განათლებული, აღიარებული პოლიტიკოსი იყო, რეფორმატორი პატივსაცემი ადმინისტრაციული კარიერით, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო „იმპერიის გათიშვა ცივილიზებული ერებისგან“, გამოსავალი – თურქები უნდა გამხდარიყვნენ ჭმარიტად ცივილიზებული ევროპული ერი, ხოლო ეს, მისივე აზრით, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ რეფორმებით, ევროპული ცივილიზაციისთვის კარის ფართოდ გაღებით.

სხვათა შორის, მან ეს მოძრაობა იმით დაიწყო, რომ გახსნა პირველი ფრანგული სკოლა. მალევე გასცა ბრძანება ამერიკის მოქალაქე შლიმანისთვის მიეცათ გათხრების წარმოების უფლება ჰისარლიკის დაუსახლებელ ტერიტორიებზე, რადგან ჩათვალა, რომ შეიძლებოდა ღირებული არტეფაქტები ეპოვნათ, ეს კი, ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა რეგიონს.

1871 წლის 30 ივნისს გამოიცა ბრძანებულება – მნიშვნელოვანი განძის პოვნის შემთხვევაში, ნახევარს განკარგავდა ჰაინრიხ შლიმანი, საკუთარი შეხედულებების მიხედვით, ხოლო ნახევარი დარჩებოდა თურქეთის საიმპერატორო მუზეუმს. დიპლომატიურმა მხარდაჭერამ შლიმანს საშუალება მისცა გათხრების პირველი ეტაპი დაეწყო 1871 წლის ოქტომბერში და გაგრძელდა 1871 წლის 24 ნოემბრამდე; მეორე ეტაპი გაგრძელდა პირველი აპრილიდან 1872 წლის 14 აგვისტომდე, ხოლო ბოლო ეტაპი მოიცავდა პერიოდს 1873 წლის 2 თებერვლიდან 14 ივნისამდე.

ჩატარებული გათხრების საფუძველზე, 1873 წლის 31 მაისს, შლიმანმა აღმოაჩინა ოქროსა და ვერცხლის თასები, ვაზები, ოქროს სამკაულები, ბეჭდები, თავსაბურავები, საყურეები, დიადემები, რომელთაც არქეოლოგმა „ელენეს სამკაულები“ უწოდა. დოკუმენტები ნათელყოფს, რომ შლიმანმა კონტრაბანდულად გაიტანა ნაპოვნი საგანძური იმპერიიდან ათენში და უარი თქვა სამთავრობო წილის გადაცემაზე.

ოფიციალური სარჩელი გაიგზავნა ათენში იმასთან დაკავშირებით, რომ ჰაინრიხ შლიმანმა დაარღვია წერილობითი შეთანხმება ოსმალეთის ხელსუფლებასთან და პრიამოსის საგანძური უნებართვოდ გაიტანა ქვეყნიდან გაყიდვის მიზნით. უწოდეს მას მატყუარა და ქურდი.

1873 წლის ოქტომბერში, ათენის სასამართლოზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტროას კოლექციის დაყადაღების შესახებ, მაგრამ შლიმანმა საგანძური საიდუმლო ადგილას გადაიტანა. ოსმალეთის მთავრობა შეშფოთებული იყო ამ გარემოებით. პარალელურად, შლიმანმა საპროტესტო წერილები ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ცნობილ გაზეთებში და პერიოდულ გამოცემებში სტამბოლში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, თვლიდარა, რომ თუ პრიამოსის მემკვიდრეობა თურქეთში დაბრუნდებოდა, სამუდამოდ დაიკარგებოდა დანარჩენი ევროპისთვის.

შლიმანმა მიიღო მნიშვნელოვანი დიპლომატიური მხარდაჭერა, როცა უარი თქვა ოსმალეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებაზე, ხოლო ჰენრიკ ბოკერმა (1823-1890), ამერიკის ელჩმა სტამბოლში, შესთავაზა ნაპოვნი სიძველეების ამერიკაში განთავსება, რაც, მისი მტკიცებით, უზრუნველყოფდა საგანძურის დაცვას თურქების დევნისაგან.

აშკარაა, რომ ამერიკა და დასავლეთი ამცირებდა თურქებს, როგორც არაცივილიზებულებს და თვლიდნენ, რომ ჰქონდათ მორალური და პოლიტიკური უპირატესობა მათთან შედარებით, და რომ მათ არ ესმოდათ ამ აღმოჩენის მნიშვნელობა.

შლიმანმა ამ დავას „ყველაზე სისხლიანი ბრძოლა“ უწოდა. 1875 წელს თურქეთის მთავრობამ დათმო „ხანგრძლივი და უშედეგო ბრძოლა“ და ამის მიზეზი იყო მნიშვნელოვანი ხარჯი, სახელმწიფოს ფინანსური და პოლიტიკური პრობლემები. აქილევსის ქუსლი მაინც ფული იყო. რეფორმატორ მთავრობას შეექმნა დიდი ფინანსური კრიზისი. მთავრობამ დაიწყო ევროპის ბაზრებზე სესხების აღება იმ პირობით, რომ ორმაგად უნდა გადაეხადა. მიუხედავად ამისა, დათანხმდა მოთხოვნას არქეოლოგიური მუზეუმის აშენების შესახებ და აკრძალა თურქეთში მომავალში უცხოელებისთვის გათხრების წარმოება (Daisy 2020:2-3).

ისტორიკოს ეკემ ელდემის აზრით, ეს იყო უძველესი მნიშვნელოვანი ობიექტების შესწავლის თანამედროვედ ორგანიზების დასაწყისი. ტროა დაცულ ტერიტორიად გამოცხადდა, შლიმანი კი - *persona non grata*-დ. მიღებულ იქნა სიძველეთა შესახებ კანონი, რომელმაც ვერ შეუშალა ხელი უძველესი არტეფაქტების ევროპასა და ამერიკაში გატანას, რადგან კანონს ბევრი ხარვეზი ჰქონდა. მალევე, თურქეთი მოიცვა დიდმა ფინანსურმა კოლაფსმა. ამას დაემატა მასობრივი გვალვა და შიმშილობა და გარკვეული დროის განმავლობაში, ტროას კვლევა აღარ იყო პრიორიტეტული ქვეყნისთვის.

შლიმანმა მაინც ითხოვა 3 თვით გათხრების წარმოების დამატებითი უფლება და მიიღო ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერა, ნაპოვნი არტეფაქტების ბრიტანეთის მუზეუმში განთავსების პირობის სანაცვლოდ. შლიმანს ძალიან სჭირდებოდა მუშაობის განახლება, რათა ჰქონოდა დამატებითი არგუმენტები გარკვეულ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით მეცნიერთა მხრიდან (მაგალითად, რომ ეს არ იყო ჰომეროსის ტროა და სხვა). მან 1876 წელს განაახლა მოლაპარაკებები თურქ ჩინოვნიკებთან, მოუწოდებდა ელჩებს თურქეთში, ზეგავლენა მოეხდინათ ოსმალეთზე.

შლიმანმა ახალი შეთანხმება მიიღო, საკმაოდ მკაცრი პირობებით, ბევრი აკრძალვით და მოპოვებული არტეფაქტების ორი მესამედის მთავრობისთვის გადაცემის, უდიდესი კონტროლის და დარღვევების შემთხვევაში კი, ავტორიზაციის შეჩერების და მკაცრად დასჯის პირობით. ყველა ფინანსური პასუხისმგებლობა თავად შლიმანს დაეკისრა (ამიტომაც იყო, ალბათ, რომ უმდიდრესი, უამრავი ოქროს ნაკეთობის აღმოჩენი შლიმანი, ბოლოს ისე გარდაიცვალა, ჯიბეში ერთი მონეტა არ ედო, საკუთარი დაკრძალვის ხარჯები მაინც რომ დაეფარა). ნაპოვნი იქნა კვლავ უამრავი ოქროს ნაკეთობა და სხვა ნივთები, რომელთა შორის ყველაზე საინტერესო აღმოჩენა იყო თავის ქალები, ზღვის ჭურვების კოლექცია, თიხის ჭურჭელი და წისქვილის ქვები.

გარკვეულმა კონფლიქტებმა ისევ იჩინა თავი არტეფაქტების გაყოფის დროს, მაგრამ საბოლოოდ, 1878 წელს, საიმპერატორო მუზეუმმა მიიღო თავისი წილი სიმკვლეები. ამით, შლიმანმა, მთავრობის ნდობა გაიმყარა და 1879 წელს, მოიწვია ცნობილი მეცნიერები მსოფლიოდან და უკვე მათთან ერთად განაახლა გათხრების წარმოება ჰისარლიკში. გაიზარდა მისი სამეცნიერო სტატუსი, უფრო მეტად გახდა მიღებული ინტელექტუალურ სამყაროში, გახდა ბევრი სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. შლიმანს ძალიან სჭირდებოდა ეს ინტელექტუალური მხარდაჭერა სამეცნიერო არქეოლოგიური სამუშაოების კვლავ საწარმოებლად. ყველა თანამოაზრეს თავადვე შესთავაზა კარგი ხელფასები, საკვების, სამოგზაურო, ბინის თუ სხვა ხარჯები. აღსანიშნავია, რომ შლიმანს არქეოლოგიური სამუშაოები ტროას ტერიტორიაზე მაშინაც კი არ შეუჩერებია, როცა 1877 წელს ოსმალეთს ომი გამოუცხადა რუსეთმა. სწორედ ასეთი ადამიანების ენთუზიაზმზე დგას კაცობრიობის ახალი აღმოჩენები და მიღწევები, როგორც ჩანს (West 1997: 622).

რაც შეეხება თავად ჰომეროსს და მის შემოქმედებას. როგორც ცნობილია, თურქეთში არ არსებობდა ჰომეროსის პოემების თარგმანი 1885 წლამდე. თურქეთში იცნობდნენ ჰომეროსს, მის გმირებს და ტროას ამბებს, მაგრამ მე-19 საუკუნემდე არ ჩაუთვლიათ, რომ სჭირდებოდათ „ილიადასა“ და „ოდისეას“ თარგმანები, თუმცა როგორც ჩანს ბევრი წარჩინებულის ოჯახში ინახებოდა პოემები ბერძნულ ენაზე, როგორც დიდი საგანძური (Foley 1998:24).

შლიმანის გათხრებმა გაამყარა ჰომეროსის მიმართ ინტერესი და არა მხოლოდ ითარგმნა მისი პოემები, არამედ ბერძენი ეპიკოსი და მისი ამბები აისახა თურქულ ლიტერატურაში, კულტურაში, ხელოვნებაში. გაჩნდა ჰომეროსის ბიოგრაფიის, თურქულ კულტურაზე ზეგავლენის შესწავლის და მისი შემოქმედების კვლევის მოთხოვნილება ამ დროის სამეცნიერო ლიტერატურაშიც (Croally 2011:26).

ერთი სიტყვით, შლიმანის გათხრების პარალელურად, იზრდებოდა თურქეთში ინტერესი ჰომეროსისა და ტროას მიმართ, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არ იცნობდნენ ბერძენ ეპიკოსს თურქეთში. სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) დამპყრობელი სულთან მეჰმედ II (1432-1481) დიდად იყო დაინტერესებული. ჰომეროსით და ტროით და მის პირად ბიბლიოთეკაში იყო „ილიადას“ ძვირფასი ბერძნული გამოცემა (ხელნაწერი) სტამბოლის ბიბლიოთეკის კოლექციებში დაცულია შუა საუკუნეების არაბული ხელნაწერები, რომლებიც ეხება ტროას ცხენის ამბებს და 1475 წლით თარიღდება. მასში, სავარაუდოდ, ისტორიული ლეგიტიმაციისა და იდენტიფიკაციის მიზნით, ტროელები განსაკუთრებით არიან მოხსენიებული.

თურქი ხალხის ფლოკლორში ტროას მითის ბევრი ნაწილია პოეტურად დამუშავებული და გადმოცემული უძველესი დროიდან. მაგალითად, როგორც არის, ოდისევსის ბრძოლა პოლიფემოსთან, კირკესა და ოდისევსის ეპიზოდი, ტროას ბრძოლები, განაწყენებულ აქილევსთან აგამემნონის მიერ ელჩობის გაგზავნის ამბავი და სხვა.

დუდე მინეჩიმბაში (1631-1702) ტროას ომს ასახელებს, როგორც საწყის მოვლენას საბერძნეთის ისტორიაში და განიხილავს ტროას მდებარეობასა და ისტორიას; 1732 წლით თარიღდება ტროას ისტორიის ვერსია, რომელიც, სავარაუდოდ, შუა ბერძნულ/ბიზანტიურ ენაზეა დაწერილი ებუ ბეჟირ იბნ ბეჰრამ ედ-დიმეშკის მიერ; 1838 წელს გამოქვეყნდა „ალექსანდრეს, ფილიპეს ძის, ისტორია“, სადაც, ტროა, პრიამოსი, აქილევსი და ჰექტორი არიან მოხსენიებული; გამოიცა ენციკლოპედიები, მითოლოგიური ლექსიკონები; მე-19 საუკუნის ბოლოდან ხშირია კლასიკური ეპოქის ბერძენი ფილოსოფოსების – არისტოტელეს, პლატონის, სოკრატესის და სხვათა მიმართ ინტერესი (Lamberton, 2019: 449-452).

ამკარაა, რომ ანტიკური სამყაროს ინოვაციებმა და ახალმა აღქმებმა თურქეთში შექმნა კლიმატი, რომელშიც კლასიკური პოეზია და მითოლოგია ოსმალურ ლიტერატურაში შედიოდა. ამავე დროს, ბერძნული მითოლოგია იქცა მთავარი შთაგონების წყაროდ ოსმალეთის მხატვრობასა და ქანდაკებაში. ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ბერძენი ავტორის, ჰესიოდეს ეპოსში („თეოგონია“ და „სამუშაონი და დღენი“) იძებნება აღმოსავლური ფოლკლორის ზეგავლენა. ვფიქრობთ, სამეცნიერო სტატიაზე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ ბერძენ და თურქ ხალხს შორის უძველესი, საინტერესო და დღემდე აქტუალური ამბები აკავშირებთ.

დასკვნა

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰომეროსი და ტროა, ძველი ბერძნული ცივილიზაციის პირველი ლიტერატურული ძეგლი და ევროპული ერების კოლექტიური იდენტობის ფუნდამენტური ელემენტი, თურქული კულტურული მეხსიერების ნაწილია; შესაბამისად, თურქეთში სახელმწიფოცა და ხალხიც თავის უპირველეს მოვალეობად თვლის მასზე ზრუნვას. ამკარაა, ევროპული კულტურის ისტორია – ჰომეროსის მემკვიდრეობა, უძველესი დროიდან შთააგონებს თურქულ კულტურულ ტრადიციებს; ახლაც დიდია ტროას არქეოლოგიური კვლევების და კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივები თურქეთში – გასული საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, არ შეწყვეტილა რეგულაციები ტროას შემდგომი შესწავლის მიზნით (Wilson 2016: 1-2).

და ბოლოს, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰომეროსი „ილიადაში“, ტროას ომში, ტროელთა მოკავშირეებს შორის, მოიხსენიებს ჰალიძონებს ალიბეს ქვეყნიდან, რომელთაც უკვე ძველები ერთ-ერთ ქართველურ ტომთან, ხალიბებთან აიგივებდნენ. ასევე, ტროას მეფე, დიადი პრიამოსი, ელენესთან დიალოგში, ახსენებს კოლხ მეზრდოლ ასულებს, ამადონებს, რომელთა მოკავშირეობითაც წარსულში ბევრი ომი მოუგია. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჰომეროსის თვალსაწიერში, გარკვეულწილად, მოექცა ქართველური სამყაროც. შესაბამისად, ჰომეროსი პირველი ევროპელი მწერალია, რომელიც უძველესი აია-კოლხეთის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას დიადი მიკენური წარსულის და ტროას ომის კონტექსტში.

დიდი იყო სურვილი ამ მრავალწლიანი, უკვე ტრადიციული კონფერენციის ფარგლებში მონაწილეობის და მადლობელი ვართ, რომ

მისმა „ქართულ-თურქულმა“ თემატიკამ ისეთ საინტერესო საკითხზე მუშაობის საშუალება მოგვცა, როგორც ჰომეროსია, იმ გადმოსახედიდან „Ubi Troya fuit“/„სადაც ოდესღაც ტროა იყო“ (Ovid. Heroid. 1.1.53).

გამოყენებული ლიტერატურა / References

- Croally, Neil; Hyde, Roy (2011).** Classical Literature: An Introduction. Routledge. p. 26. ISBN 978-1136736629. Retrieved 23 November 2016.
- Daisy Dunn (22 January 2020).** “Who was Homer?”. British Museum. Retrieved 7 March 2024.
- Foley, John Miles (1988).** The Theory of Oral Composition: History and Methodology. Indiana University Press. ISBN 978-0253342607.
- Graziosi, Barbara; Haubold, Johannes (2005).** Homer: The Resonance of Epic. A & C Black. pp. 24–26. ISBN 978-0715632826.
- Hunter, Richard L. (2018).** The Measure of Homer: The Ancient Reception of the Iliad and the Odyssey. Cambridge, England: Cambridge University Press. pp. 4–7. ISBN 978-1-108-42831-6.
- Lamberton, Robert (2010).** «Homer». In Grafton, Anthony; Most, Glenn W.; Settis, Salvatore (eds.). The Classical Tradition. Cambridge, Massachusetts and London, England: Belknap Press. pp. 449–452. ISBN 978-0-674-03572-0.
- Latacz, Joachim (1996).** Homer, His Art and His World. University of Michigan Press. ISBN 978-0472083534. Retrieved 22 November 2016.
- Ovid (1989).** Heroides. Amores. Loeb Classical Library. Harvard University Press; Cambridge, London.
- West, Martin Litchfield (1997).** The East Face of Helicon: West Asiatic Elements in Greek Poetry and Myth. Oxford: Clarendon Press. p. 622.
- West, Martin Litchfield (December 2011).** “The Homeric Question Today”. Proceedings of the American Philosophical Society. 155 (4): 383–393. JSTOR 23208780.
- Wilson, Nigel (2013).** Encyclopedia of Ancient Greece. Routledge. p. 366. ISBN 978-1136788000. Retrieved 22 November 2016.
- Romilly, Jacqueline de (1985). A Short History of Greek Literature. University of Chicago Press. p. 1. ISBN 978-0226143125. Retrieved 22 November 2016.